კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმის“
ყოველთვიური გამოცემა

საინფორმაციო ბიულეტენი #9

2015 წლის სექტემბერი

მომზადებულია პროექტის
„ქალთა უფლებების გაძლიერება დასავლეთ საქართველოში“ ფარგლებში

მხარდამჭერი - ორგანიზაცია

Brot für die Welt
Brot für die Welt – Evangelischer Entwicklungsdienst

საანგარიშო პერიოდში - 1 – 30 სექტემბერი - მიღწეული შედეგები:

ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მუშაობა

ქუთაისი

ისტორია

ქუთაისში ფსიქოლოგს დახმარებისათვის მიმართა ქალბატონმა თამარმა. მას ჰყავს შვილი, რომელიც ალკოჰოლიკია. ოჯახი ამის გამო დაენგრა, რამაც მის ფსიქიკაზე იმოქმედა. აგრესიული და კონფლიქტური გახდა. დედა ვერ ახერხებს მის დამშვიდებას. როცა დათვრება, შვილი დედას აგრესიულად ექცევა. იყო ცემის შემთხვევაც. ქალბატონი ამის გამო თვითონაც ემოციურია, გაღიზიანებულია, არ იცის, როგორ მოიქცეს. ფსიქოლოგმა რამდენიმე სეანსი დაუნიშნა, რადგან რეაბილიტაცია მასაც სჭირდებოდა. შეხვდა იურისტსაც. შვილიც გაივლის ტელეფონით ფსიქორეაბილიტაციას. მიღებული კონსულტაციების შემდეგ თამარმა შვილი შეაშინა, რომ აგრესიის შემთხვევაში აუცილებლად გამოიძახებდა პატრულს. მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა. დედა-შვილი ეძებს სამუშაოს, რათა ბიჭი დაკავდეს, პარალელურად ის ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ იქნება და სარეაბილიტაციო პროგრამას გაივლის.

ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორმა ჩაატარა 3 სამობილიზაციო შეხვედრა შემდეგ კოლექტიურ ცენტრებში: მუსიკალური სკოლა-ინტერნატი, სასტუმრო „ხვამლი“ და „სამთო ტექნიკუმი“.
ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ფსიქოლოგის შეხვედრა მიეძღვნა თემას „როგორ გავუმკლავდეთ სტრესს“. იგივე თემა იყო სასაუბროდ ფსიქოლოგის საინფორმაციო-საკონ-სულტაციო შეხვედრებზე 6 კოლექტიურ ცენტრში.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრში გამართული იურიდიული კონსულტაციის მთავარი თემა იყო ძალადობა სამსახურში, მარიხუანას დეკრიმინალიზაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემის წესები, მსხვერპლის სტატუსის მინიჭება და მასთან დაკავშირებული პროცედურები. იურისტმა საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები ჩაატარა აგრეთვე ქუთაისის 6 სხვადასხვა კოლექტიურ ცენტრში თემებზე - შრომითი უფლებები, სამეზობლო დავები და მასთან დაკავშირებული პროცედურები.
ახალგაზრდული კლუბის შეხვედრა ჩატარდა თემაზე „ოჯახური ძალადობა, როგორც საზოგადოების პრობლემა“.
გაიმართა ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში ქალების ჯგუფთან, გამსახურდიას ქუჩაზე მცხოვრებ დევნილებთან. თემა - თვითშეფასება და მისი გავლენა ოჯახურ კონფლიქტებზე, მისი მოგვარების გზები ძალადობის პრევენციის მიზნით.

წყალტუბო

ისტორია

წყალტუბოში იურისტის შეხვედრის თემა იყო სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭება და მასთან დაკავშირებული პროცედურები. შეხვედრის მონაწილე ქალბატონმა ეთერმა მიღებული ინფორმაცია გამოიყენა. მას გარდაეცვალა მეუღლე, შვილი არ მუშაობს, თვითონ კი მხოლოდ პენსიას იღებს და მძიმე სოციალურ პირობებში ცხოვრობს. მიღებული ინფორმაციის შემდეგ დაუკავშირდა სოციალურ სააგენტოს. ყველა საჭირო დოკუმენტი მოამზადა და ელოდება სტატუსის მინიჭებას.

წყალტუბოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორებმა ჩაატარეს 6 სამობილიზაციო შეხვედრა შემდეგ ადგილებში: ახალი რაიონის სახლები #9 და #12, სასტუმროები „იმერეთი“, „ცენტროსოიუზი“, „წყალტუბო“, სოფელი თერნალი.
ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ჩატარდა ფსიქოლოგის შეხვედრა თემაზე „პრობლემის გადაჭრა, გადაწყვეტილების მიღების ფსიქოლოგია“.
იურისტის კონსულტაციაზე შეხვედრის თემა იყო ანდერძი, ხელშეკრულება და ადმინისტრაციული კანონი.
წყალტუბოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრში გაიმართა ახალგაზრდული კლუბის შეხვედრა თემაზე „ოჯახური ძალადობა, როგორც საზოგადოების პრობლემა“.
ჩატარდა კონფლიქტოლოგიის ვორკშოპი ქალების ჯგუფთან თემაზე „თვითშეფასება და მისი გავლენა ოჯახურ კონფლიქტებზე, მისი მოგვარების გზები ძალადობის პრევენციის მიზნით.“

ხონი

ისტორია

ქალთა მხარდაჭერის ცენტრს დახმარებისათვის მიმართა ქალბატონმა. მისი შვილი ცერებრალური დამბლით არის ავად. ის ვერ იღებს პენსიას, რადგან არ იცის, ვის მიმართოს და რა უნდა მოამზადოს. აღნიშნულ შემთხვევაში ჩაერია იურისტიც. შეგროვდა ყველა საჭირო დოკუმენტი. ამჯერად პასუხს ელოდებიან. მობილიზატორები ამ შემთხვევას მონიტორინგს გაუწევენ მის დასრულებამდე.

ხონის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორებმა ჩაატარეს 6 სამობილიზაციო შეხვედრა სამხედრო დასახლების კოლექტიური ცენტრის ##84, 85, 90, 96,102 სახლებში და სოფელ ქარჩხაპში.

ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ჩატარდა ფსიქოლოგის შეხვედრა თემაზე: პრობლემის გადაჭრა, გადაწყვეტილების მიღების ფსიქოლოგია.“
იურისტის საინფორმაციო შეხვედრა მიეძღვნა ქალთა მიმართ ძალადობის თემას. ისაუბრეს ასევე სამეზობლო დავებზე.
ქალთა მხარდაჭერის ცენტრში გამართული ახალგაზრდული კლუბის შეხვედრაზე იმსჯელეს ოჯახურ ძალადობაზე, როგორც საზოგადოების პრობლემაზე.
ჩატარდა ვორკშოპები ახალგაზრდებთან თემაზე „თვითშეფასება და მისი გავლენა ოჯახურ კონფლიქტებზე, მისი მოგვარების გზები ძალადობის პრევენციის მიზნით.“

ფოთი

ისტორია

ქალთა მხარდაჭერის ცენტრი დაეხმარა აზერბაიჯანის მოქალაქეებს. ოჯახი საცხოვრებლად ფოთში გადმოვიდა. შვილი პირველ კლასში უნდა წასულიყო. არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. მობილიზატორების დახმარებით მოეწყო შეხვედრა რესურს-ცენტრის ხელმძღვანელთან. მისი დახმარებით მოაწესრიგეს ყველა საჭირო დოკუმენტები და ბავშვი იმ სკოლაში მოეწყო, რომელიც მის საცხოვრებელთან ახლოს მდებარეობს.

ფოთის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორებმა ჩაატარეს 6 სამობილიზაციო შეხვედრა: ახალი რაიონი - გაგრის ქუჩა, სახლები, ## 10, 10ა, 12, სასწავლო ცენტრი ##1, 2, 3.
ქალთა მხარდაჭერის ცენტრში გაიმართა ფსიქოლოგის შეხვედრა თემაზე: პრობლემის გადაჭრა, გადაწყვეტილების მიღების ფსიქოლოგია.“
 იურისტის კონსულტაციის საკითხებს წარმოადგენდა: ქორწინება, ბინის გირავნობა და მასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული კოდექსი.
ახალგაზრდული კლუბის შეხვედრა გაიმართა ქალთა მხარდაჭერის ცენტრში თემაზე „ოჯახური ძალადობა, როგორც საზოგადოების პრობლემა“
ჩატარდა ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში ქალების ჯგუფთან „თვითშეფასება და მისი გავლენა ოჯახურ კონფლიქტებზე, მისი მოგვარების გზები ძალადობის პრევენციის მიზნით.“

სენაკი

ისტორია

მრავალშვილიან დედას ქალთა მხარდაჭერის ცენტრმა დახმარება გაუწია. მისი მეუღლე ავადმყოფია, ყოველთვიურად გარკვეული თანხა სჭირდება მედიკამენტების შესაძენად. ბავშვების გამო თვითონ ვერ მუშაობს, ხშირად იღებენ სესხს, რომლის გადახდასაც ვერ ახერხებენ. ცენტრის მობილიზატორების დახმარებით დაწერეს განცხადება, რომელიც გადასცეს ადგილობრივ გამგეობას. რეაგირებაც მალე მოხდა. ქალბატონს ერთჯერადი დახმარების სახით 70 ლარი გადაეცა მედიკამენტების შესაძენად.

სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორებმა ჩაატარეს 6 სამობილიზაციო შეხვედრა შემდეგ ადგილებში: სასტუმროები „მენჯი“ და „ეგრისი“, მე-5 ტრესტი, პროფსასწავლებელი, სამხედრო ქალაქი, სოფელი ბათარია.
ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ჩატარდა ფსიქოლოგის შეხვედრა თემაზე: „როგორ გავუმკლავდეთ სტრესს“.
იურისტის კონსულტაციაზე მონაწილეები დაინტერესდნენ საკითხებით: საკუთრების ცნება, საკუთრების უფლება, მესაკუთრისა და მფლობელის ვალდებულებები.
ახალგაზრდული კლუბის შეხვედრა ჩატარდა ქალთა მხარდაჭერის ცენტრში თემაზე: „ოჯახური ძალადობა, როგორც საზოგადოების პრობლემა“

ქალების ჯგუფი დაესწრო ვორკშოპს კონფლიქტოლოგიაში „თვითშეფასება და მისი გავლენა ოჯახურ კონფლიქტებზე, მისი მოგვარების გზები ძალადობის პრევენციის მიზნით.“

ხურჩა-კოკი

ხურჩასა და კოკში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ჩატარდა სამ-სამი სამობილიზაციო შეხვედრა.
ხურჩის ქალთა მხარდაჭერის ცენტრში ფსიქოლოგმა გამართა შეხვედრა თემაზე „როგორ გავუმკლავდეთ სტრესს“. შეხვედრაზე იმყოფებოდნენ სოფელ კოკიდან ჩამოსული ქალებიც.
იურისტის კონსულტაციაზე შეეხნენ მიწით სარგებლობის სამართლებრივ ნორმებს და ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებს.
კოკის საჯარო სკოლაში ჩატარდა შეხვედრა ახალგაზრდებთან. შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს თემაზე „ოჯახური ძალადობა, როგორც საზოგადოების პრობლემა“.
კოკის ახალგაზრდული კლუბის მოხალისეებმა სოფელ ორსანტიის სკოლაში გამართეს შეხვედრა ბავშვთა უფლებებზე.
სიფელ ხურჩაში ჩატარდა ვორკშოპი ქალებთან კონფლიქტოლოგიაში „თვითშეფასება და მისი გავლენა ოჯახურ კონფლიქტებზე, მისი მოგვარების გზები ძალადობის პრევენციის მიზნით.“

გაგრძელდა ქალთა მხარდაჭერის ცენტრების თანამშრომლობა ადგილობრივი თვითმმართველობების, სოციალური სამსახურების წარმომადგენლებთან.

- ქუთაისის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორი შეხვდა საკრებულოს წევრს ლაშა გვენეტაძეს. ისაუბრეს, ძალადობის მსხვერპლს რა ტიპის დახმარება შეიძლება გაეწიოს ადგილობრივ დონეზე, რა უნდა გაკეთდეს სამომავლოდ უფრო ეფექტური მექანიზმების დასანერგად.
- სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორს შეხვედრა ჰქონდა სოციალური სამსახურის უფროსთან, საუბარი შეეხო ერთობლივ ღონისძიებებს ძალადობის პრევენციის მიზნით.
- წყალტუბოს ქალთა მხარდაჭერის ცენტრის მობილიზატორები შეხვდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელს დევნილთა საკითხებში თემურ კუხალაშვილს. ისაუბრეს დევნილთა განსახლების საქმეში არსებულ სიახლეებზე.
- ძალადობის პრევენციის კუთხით არსებულ პრობლემებზე ისაუბრეს ხონის, ზუგდიდის, ფოთის ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მობილიზატორებმა სოციალური სამსახურის წარმომადგენლებთან შეხვედრებზე.
- ექვსივე ქალაქის მობილიზატორი დაესწრო საკრებულოს სხდომებს. განხილული თემებიდან მათთვის საინტერესო აღმოჩნდა ინფრასტრუქტურული საკითხები ბიუჯეტში, რადგან ბენეფიციარები საინფორმაციო შეხვედრებზე ხშირად სვამენ შეკითხვებს ამ საკითხებზე.
შეხვედრების შედეგად მობილიზატორებმა გაიგეს ინფორმაცია ქალაქებში არსებულ პროგრამებზე - ამის შესახებ მოსახლეობა ნაკლებადაა ინფორმირებული. ამიტომ ეს ინფორმაციები სამობილიზაციო შეხვედრებზე გავრცელდა.
-მობილიზატორების ინიციატივით ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში, სკოლებში, კოლექტიურ ცენტრებში აქციით აღინიშნა მშვიდობის დღე - 21 სექტემბერი.
- მობილიზატორები აქტიურად არიან ჩართული იმ აქტივობებში, რომლებიც მათ ქალაქებში ხდება. ხონის საკრებულოში მონაწილეობა მიიღეს შეხვედრაში პაატა ზაქარეიშვილთან - სახელმწიფო მინისტრთან შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში.
- წყალტუბოში გამართულ ხელოვნების ფესტივალში ცენტრის აქტივისტებიც მონაწილეობდნენ.

- სენაკის სტადიონის გახსნაზე მოწვეულნი იყვნენ ცენტრის მობილიზატორები. ასევე მონაწილეობა მიიღეს ქალაქის მასშტაბით გამართულ დასუფთავების აქციაში და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაასუფთავეს სკოლის ეზო და სოფელ ჭალადიდის ცენტრალური გზა.

პრობლემათა ადვოკატირება ცენტრების მობილიზატორების დახმარებით

ქუთაისში სამობილიზაციო შეხვედრაზე „სამთო ტექნიკუმის შენობაში“ მცხოვრებმა დევნილებმა დასვეს საკითხი, რომ მათ არა აქვთ კეთილმოწყობილი ეზო, სადაც ბავშვები გაერთობიან. მობილიზატორთან ერთად დაიწყო პრობლემის ადვოკატირება. შეგროვდა ხელმოწერები. დაიწერა განცხადება და მიეწოდა მერიის შესაბამის სამსახურს. ამ ეტაპზე პასუხს ელოდებიან და ადვოკატირებაც გაგრძელდება.
გასულ თვეს **სენაკის** ქალთა მხარდაჭერის ცენტრს დახმარება სთხოვა მარტოხელა დედამ, რომელიც ძალადობის მსხვერპლია. ის ითხოვდა საცხოვრებელ ფართს. მობილიზატორების დახმარებით შეავსო აპლიკაცია და გაეგზავნა დევნილთა სამინისტროს. ქალბატონს დადებითი პასუხი მოუვიდა, მას გამოუყვეს შესაბამისი თანხა და ეძებს საცხოვრებელს სენაკის მუნიციპალიტეტში.
წყალტუბოში ქალბატონს შეუჩერეს სოციალური დახმარების თანხა. მან მობილიზატორს მიმართა დახმარებისათვის. გაიარა კონსულტაცია იურისტთან. ხელახლა მიმართეს სოციალურ სააგენტოს. აგენტი სახლში ესტუმრა და მისი საქმე გადაიხედება.
ფოთში, ახალ რაიონში, მობილიზატორებმა რამდენიმე თვის წინ დააფიქსირეს ოჯახური ძალადობის შემთხვევა. მათ არაერთხელ სცადეს მსხვერპლის მოწვევა ფსიქოლოგთან შეხვედრაზე, მაგრამ ის ყოველთვის წინააღმდეგი იყო. ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტი ფიზიკურ შეურაცხყოფამდე მივიდა. გამოიძახეს პატრული, სასწრაფო სამედიცინო დახმარება. ქალბატონი ისევ მეუღლესთან ცხოვრობს, რადგან წასასვლელი არსად აქვს. მობილიზატორები შეეცადნენ აეხსნათ მისთვის მსხვერპლის სტატუსის მიღების მნიშვნელობა. მაგრამ, მისი განცხადებით, ის ჯერ ამისთვის მზად არ არის. კონსულტაციები ისევ გაგრძელდება.

გრძელდება ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგი

შეივსო 10 ძალადობის მსხვერპლის ანკეტა. შემთხვევათა ნაწილი ეხებოდა ოჯახურ კონფლიქტებს და ძალადობას ქალზე ქმრის ან ოჯახის სხვა წევრების მხრიდან. მობილიზატორთა აქტიური მუშაობით 10-დან ოთხმა მიმართა ფსიქოლოგს დახმარებისათვის. დანარჩენებთან კი გრძელდება საკონსულტაციო და საინფორმაციო მუშაობა, რათა საკუთარი პრობლემის მოსაგვარებლად ქალთა მხარდაჭერის ცენტრში არსებული სერვისებით ისარგებლონ.

იურისტებისა და ფსიქოლოგების კონსულტაციების მეშვეობით დარეგულირდა კონკრეტული შემთხვევები

-სენაკში იურისტს მიმართა ძალადობის მსხვერპლმა, რომელსაც აინტერესებდა, ვის უნდა მიმართოს ძალადობის განმეორების შემთხვევაში და რა პროცედურებია საჭირო მოძალადის დასაკავებლად. კონსულტაცია მიიღო. მისი ანონიმურობა დაცულია.
-ფოთში ქალბატონს აინტერესებდა, რა სახის საბუთებია საჭირო ბინის იჯარასთან დაკავშირებით. კონსულტაციის შემდეგ ბენეფიციარმა ყველა პროცედურა გაიარა და დოკუმენტებიც მოაწესრიგა.
-წყალტუბოში გასულ თვეს იურისტთან ერთად მომზადდა განქორწინებისთვის საჭირო საბუთები. ქალბატონმა ყველა პროცედურა გაიარა და, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაენიშნა ალიმენტი.

- წყალტუბოში იურისტს მიმართა ქალბატონმა ბავშვის მეურვეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
- ფონდი „სოხუმის“ ფსიქოლოგი და იურისტი იმყოფებოდნენ სოფელ კოკში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), სადაც ძალადობის მსხვერპლ გოგონას გაეწია კონსულტაცია. მასთან მუშაობა დღემდე გრძელდება.
-ფსიქოლოგთან ცხელ ხაზზე ძალადობის მსხვერპლის ერთი ზარი დაფიქსირდა. ერთმა ბენეფიციარმა ინტერნეტით მიიღო კონსულტაცია.

ქუთაისის, წყალტუბოს, ხონის, ფოთის, სენაკისა და ხურჩა/კოკის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ქალთა მხარდაჭერის ცენტრების ლიდერები ახლომდებარე სოფლებში აგრძელებენ შეხვედრებს

- სამობილიზაციო შეხვედრები ჩატარდა სოფლებში: თერნალი (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი), ბათარია (სენაკის მუნიციპალიტეტი), ხურჩა/კოკი (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), ქარჩხაპი (ხონის მუნიციპალიტეტი).
- სოფლებში სამობილიზაციო შეხვედრების შედეგად გაფართოვდა თანამშრომლობა ცენტრის ლიდერებსა და სოფლის გამგეობის წარმომადგენლებს შორის. ადგილობრივ გამგეობას აქვს ინფორმაცია ფონდი „სოხუმის“ მუშაობაზე ძალადობის პრობლემის პრევენციისთვის.

ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფმა ჩაატარა ორი ფოკუს-ჯგუფი და ორი ჩაღრმავებული ინტერვიუ ქუთაისსა და ზუგდიდში.

-ფოკუს-ჯგუფები გაიმართა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ზუგდიდში და ქალთა მხარდაჭერის ცენტრების მობილიზატორებთან ქუთაისში. გამოიკვეთა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ფლობენ ბევრ საჭირო მასალას და რესურსებს, რომელთა ათვისება ძალადობის პრევენციის მიზნით აუცილებელია.
- ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა ძალადობის მსხვერპლთან და არასამთავრობო ორგანიზაცია „ათინათის“ ფსიქოლოგთან. ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა ძალადობის მსხვერპლთან მენტალური და ფსიქოლოგიური ბარიერების დასაძლევად.

გაიმართა ვორკშოპები კონფლიქტოლოგიაში ქალებთან და გოგონებთან. გაჩნდა ახალი ინიციატივები

- ქალებთან ჩატარებულ ვორკშოპზე რეალური ისტორიების მოსმენა გადამდები აღმოჩნდა. ერთ-ერთმა მონაწილემ განაცხადა, რომ მზად არის თვითონ მოაგვაროს საკუთარი პრობლემები.
- სენაკში გამართულ ვორკშოპზე გამოიყო ახალგაზრდა აქტივისტთა ჯგუფი. ისინი გამართავენ დისკუსიას საკუთარ სკოლაში, შემდეგ მოიწვევენ სხვა სკოლებსაც, რაც გაზრდის თანამშრომლობას და ახალგაზრდების ინფორმირებას კონფლიქტების მართვის თემაზე.
- ფოთში ახალგაზრდებმა კონკრეტული ნაბიჯები გადადგეს ოჯახური კონფლიქტების მოგვარების მიზნით. ერთ-ერთ ოჯახში დედა თურქეთშია სამუშაოდ, მამა კი მუდმივად სვამს და ბავშვებზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენს. ახალგაზრდები მივიდნენ ოჯახში და ესაუბრნენ მამას - თუ ასე გააგრძელებდა, გადასცემდნენ სამართალდამცავ ორგანოებს. ამ ეტაპზე სიტუაცია დარეგულირდა, ახალგაზრდები ამ შემთხვევას გააკონტროლებენ.

- ვორკშოპის ერთ-ერთმა მონაწილე ქალბატონმა საკუთარი პრობლემის მოსაგვარებლად, ისარგებლა ფსიქოლოგის და იურისტის მომსახურებით.

ფორუმ-თეატრმა წარმოდგენები გამართა ძალადობის თემაზე

- ფორუმ-თეატრის გამოსვლა ჩატარდა წყალტუბოს ცენტრალურ პარკში. მაყურებელთა შორის იყვნენ დამსვენებლები აზერბაიჯანიდან, რომლებიც აქტიურად ჩაერთნენ დისკუსიაში..
- მეორე წარმოდგენა გაიმართა ქუთაისში, ახალგაზრდულ ცენტრ „სულიკოში“. ესწრებოდა 13 ახალგაზრდა. მონაწილეები აქტიურად ჩაერთნენ, საკუთარი ისტორიები გაიხსენეს. აღინიშნა, რომ ასეთი რამ ხშირად უნდა იმართებოდეს, რათა პრობლემას ყველამ გარედან შეხედოს და გამოსავალზეც იფიქროს.

აქტიურად მუშაობენ ქუთაისის, წყალტუბოს, ხონის, სენაკის, ფოთის და კოკი/ხურჩის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) ახალგაზრდული კლუბები: ახალ ადგილებში გაიმართა სხვადასხვა აქტივობა, რამაც ხელი შეუწყო ახალი ბენეფიციარების მოზიდვას.

- ახალგაზრდული კლუბების შეხვედრები გაიმართა ექვსივე ქალაქში.
- კოკის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) საჯარო სკოლის მოხალისეებმა საინფორმაციო შეხვედრა ჩაატარეს სოფელ ორსანტიაში.
- სენაკის ახალგაზრდული კლუბის წევრები გააგრძელებენ დისკუსიას თავიანთ თემში.
-ხონის ახალგაზრდული კლუბის წევრებმა აქტიური თანამშრომლობა დაიწყეს ახალგაზრდულ საკრებულოსთან და ერთობლივი ღონისძიებები დაგეგმეს

სექტემბერში ჩატარდა 81 აქტივობა.
მონაწილეობა მიიღო 916 ადამიანმა.

33 სამობილიზაციო შეხვედრა თემებზე: „ახალგაზრდების საერთაშორისო დღე“, „სუიციდი და მასთან დაკავშირებული პრობლემები“ – 399 მონაწილე
6 შეხვედრა ფსიქოლოგთან ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში - 76 ადამიანი
9 საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ფსიქოლოგთან ქუთაისში, მათ შორის 2 ინდივიდუალური სეანსი - 81 მონაწილე
6 იურიდიული საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა ქალთა მხარდაჭერის ცენტრებში - 48 მონაწილე.
6 საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა იურისტთან ქუთაისში – 59 მონაწილე
6 ახალგაზრდული კლუბი – 89 მონაწილე
6 ვორკშოპი კონფლიქტოლოგიაში – 83 მონაწილე
2 შეხვედრა ფორუმ-თეატრის წარმოდგენებით - 62 მონაწილე
4 ღონისძიება - მონიტორინგის ჯგუფის ჩატარებული 2 ჩაღრმავებული ინტერვიუ და 2 ფოკუს-ჯგუფი - 19 მონაწილე